სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

01 დეკემბერი, 2023 წ.

ბრძანება N 01-08/1013

ბსუ-ს ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის
სტუდენტებისათვის ,,მწვანე სტიპენდიის" დანიშვნისა და გაცემის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ,,ბსუ-ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის N07-01/58 გადაწყვეტილების, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს" (შემდგომში - „ცენტრი") და ბსუ-ს შორის 2022 წლის 22 ივლისს დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის და ამავე მემორანდუმის 2.1. პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის თანახმად 2023 წლის 21 ნოემბერს გაფორმებული ,,მწვანე სტიპენდიის დაფინანსების ხელშეკრულების",,მწვანე სტიპენდიის" მიმღებ ბსუ-ს ეკოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა შერჩევის თაობაზე" **ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 29 ნოემბრის N01-02/224 ბრძანების,** მიერ სტიპენდიანტების შერჩევის თაობაზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2023 წლის 30 ნოემბრის სამსახურებრივი ბარათის (N-1626146, 30.11. 2023 წ.) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში დაენიშნოთ და გაიცეს ,,მწვანე სტიპენდია", თითოეულზე 1500 ლარის (ხელზე ასაღები თანხა) ოდენობით, ბსუ-ს ეკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემდეგ 2 სტუდენტზე:
   ა) **თამთა აბულაძე** (პ/ნ 61009029291) - მე-2 სასწავლო წლის სტუდენტი;
   ბ) **მარინა შაინიძე** (პ/ნ 61006071471) - მე-2 სასწავლო წლის სტუდენტი.
2. წინამდებარე ბრძანების შესახებ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტმა აცნობოს სტუდენტებს (ბრძანება განთავსდეს მათ პირად საქმეებში) და სსიპ - „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს''.
3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიურ სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**